საქართველოს კანონი

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 12.06.2014, სარეგისტრაციო კოდი: 140070000.05.001.017468) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$“ ქვეპუნქტი:

„$გ^1$) საგანგებო სიტუაციების შედეგად მოსახლეობის სიცოცხლისათვის, ჯანმრთელობისა და ქონებისათვის მიყენებული ზიანის შემცირების მიზნით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტებიდან მასობრივი თავშეყრის ობიექტების განსაზღვრა და მათი მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დადგენა;“.

2. 49-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. საქართველოს მთავრობა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტებიდან განსაზღვრავს მასობრივი თავშეყრის ობიექტებს, რომელთა მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულოა.“.

3. 56-ე მუხლის მე-9 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ზ^1$“ ქვეპუნქტი:

„$ზ^1$) „მასობრივი თავშეყრის ობიექტების განსაზღვრისა და მათი მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დადგენის შესახებ“;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

2 ნოემბერი 2017 წ.

N1329-Iს